პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 2 ივნისი, 1945 წ. № 108 (7323). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

წითელი არმიის დევგმირული ძლიერება და მაღალი ოსტატობა. „პრავდის“ 1 ივნისის მოწინავე (1-ლი გვერდი).

მოსკოვი, კრემლი. იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა კავშირის გმირის საბჭოთა კავშირის მარშალ გიორგი კონსტანტინეს-ძე ჟუკოვის „ოქროს ვარსკვლავის“ მესამე მედლით დაჯილდოების შესახებ (1-ლი გვერდი).

ბრძანებულებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა კავშირის გმირების საბჭოთა კავშირის მარშლების კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე როკოსოვსკის და ივანე სტეფანეს-ძე კონევის „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედლით დაჯილდოების შესახებ (1-ლი გვერდი).

სირიასა და ლიბანთან საფრანგეთის კონფლიქტის გამო (1-ლი გვერდი).

გამოცდილების ტრიბუნა (მე-2 გვერდი).

უცხოეთის ამბები. დეპეშები (მე-2 გვერდი).

წითელი არმიის დევგმირული ძლიერება და მაღალი ოსტატობა

სულით და გულით აღიდებს საბჭოთა ხალხი მშობლიურ წითელ არმიას. განუზომელია გმირობა, რაც მან გამოიჩინა. უსაზღვროა საბჭოთა სამშობლოს მადლობა, წითელი არმიის მიერ განთავისუფლებულ ევროპის ხალხთა მადლობა. წითელმა არმიამ გაანადგურა მტერი, შეერთდა ჩვენი მოკავშირეების არმიებს და ახლა ევროპის ცენტრში დგას თავისუფლებისმოყვარე ხალხთა დამოუკიდებლობისა და ღირსების სადარაჯოზე.

წითელი არმიის გამარჯვება კანონზომიერია. მისი დარტყმები რკინისებური თანმიმდევრობით ძლიერდებოდა. ჰიტლერული გერმანიის სრული განადგურება განპირობებულია წითელი არმიის ყოველმხრივი უპირატესობით გერმანელთა ურდოების წინაშე. გენიალურ სტალინურ სტრატეგიას განუხრელად მიჰყავდა საბჭოთა ჯარები გამარჯვების გზით. ჩვენი უმაღლესი მთავარსარდლობის ნაზრევი სისწრაფით ხორციელდებოდა. გიგანტურ ბრძოლებში გამობრწყინდა სტალინის გენიით გაზრდილ მარშალთა სახელები. სამამულო ომის წლების მანძილზე ამხანაგმა სტალინმა გამოზარდა გენერლები და ადმირალები, რომელნიც საბრძოლო სახელი მოიხვეჭეს ბრძოლებში. გამოიზარდა და გამოიწრთო წითელი არმიის ოფიცერთა კადრები.

დღეს „პრავდა“ კვლავ აქვეყნებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს წითელი არმიის გენერლებისა და ოფიცრების ორდენებით დაჯილდოების შესახებ, საბჭოთა შეიარაღებული ძალების გამოჩენილ მხედართმთავრებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ. ამ საპატიო სიებშია მთელი საბჭოთა ხალხისათვის ცნობილი სახელები. მათთან დაკავშირებულია წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებანი, რომლებიც მოპოვებულ იქნა უკანასკნელი წლების მანძილზე. იმ გენერლების სახელოვანი წინამძღოლობით, რომლებმაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიიღეს და რომლებიც დაჯილდოებული არიან საბრძოლო ორდენებით, საბჭოთა დივიზიები და არმიები ულმობლად ანადგურებდნენ გერმანელ დამპყრობლებს.

ჩვენი ხალხი ამაყობს თავისი გმირებით. მათ საუკუნო დიდება მოიხვეჭეს თავიანთ სამშობლოს. ასრულებდნენ რა უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებებს, მათ ბრძოლაში მიჰყავდათ საბჭოთა ჯარები სტალინგრადთან და კურსკთან, დნეპრზე და ბალტიისპირეთში. განდევნეს საძულველი მტერი საბჭოთა მიწა-წყლის ფარგლებიდან, ათავისუფლებდნენ ჩვენი მოძმე ხალხების ტერიტორიებს, ანადგურებდნენ ჰიტლერელებს ბერლინში და დაამხეს ფაშისტური გერმანია.

საბჭოთა კავშირის გმირების, მძლავრი ოჯახი თავის წრეში იღებს შესანიშნავ მეომართა ახალ პლეადას. მათ, ყველა გვარეობის იარაღის წარმომადგენლებმა, განსაცვიფრებელი საბრძოლო გმირობა გამოიჩინეს ბრძოლის ველებზე და ახალი დიდებით შემოსეს საბჭოთა იარაღი. ომის კეთილშობილური და დიადი მიზანი, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული ხელმძღვანელობდა მათს მოქმედებას. და მადლიერი სამშობლო დამსახურებული დაფნის გვირგვინებით ამკობს მათ.

უდიდესი განსაცდელის დღეებში, როგორიც მსოფლიოს ისტორიას არ ახსოვს, გაიშალა რუსი ხალხის დევგმირული ძალა. რუსი ადამიანის მაღალმა თვისებებმა ხორცი შეისხეს წითელი არმიის გენერლებისა და ოფიცრების სახით, რომლებმაც ამაღლეს რუსული იარაღის საბრძოლო დიდება.

მძიმე და ძნელი გზა განვლეს წითელმა არმიამ და მისმა მეთაურთა კადრებმა. წითელ არმიას მოუხდა ბრძოლა ძლიერი, ვერაგი და გამოცდილი მტრის წინააღმდეგ. უმაღლესი მთავარსარდალი ამხანაგ სტალინი ბრძნულად და შორსმჭვრეტელობით მიჰყავდა წითელი არმია საბრძოლო სრულყოფის გზით. ამხანაგ სტალინის ისტორიული ბრძანებანი მოუწოდებდნენ მთელ წითელ არმიას, ესწავლა სამხედრო ოსტატობა, დაეუფლებოდა სამხედრო ცოდნებას, ინიციატივა, შემოქმედება შეეტანა სამხედრო საქმეში. ომის მსვლელობაში წითელმა არმიამ ისწავლა მტრის უეჭველი განადგურება, თანამედროვე სამხედრო მეცნიერების ყველა წესის მიხედვით. ათიათასობით ჩვენი მეთაური ჯარების წინამძღოლობის ოსტატი გახდა. მათ ისწავლეს, როგორ შეეხამებინათ პირადი მამაცობა და ვაჟკაცობა ბრძოლის ველზე მათთვის დაქვემდებარებული ჯარების ხელმძღვანელობის უნართან, ისინი დაეუფლნენ მანევრირების ტაქტიკას. ძლევამოსილ საბჭოთა დივიზიებს სათავეში უდგნენ საბჭოთა გენერლები — გამარჯვების სტალინური სკოლის გამოცდილი, დინჯი და გამჭრიახი მეთაურები.

შესანიშნავი რუსი სარდალი ალექსი ბრუსილოვი ამბობდა, რომ ომი „თავის წინამძღოლთაგან მოითხოვს ღრმა ცოდნას, რომლის შედეგია არა მარტო სამხედრო საქმის შესწავლისა, არამედ იმ ნიჭისაც, რომელსაც ადამიანს ბუნება აძლევს, მუშაობა კი მხოლოდ ავითარებს“. წითელი არმიის გენერლები ჯარების წინამძღოლობისა და ბრძოლის მართვის ნამდვილი ოსტატები არიან. დიდი სამხედრო კულტურისა და ბუნებრივი ნიჭის ადამიანები, ნიჭიერი რუსი ხალხის გამოჩენილი წარმომადგენლები, ისინი ომში გულმოდგინედ ითვისებდნენ ყოველივე ახალს და უნარიანად იყენებდნენ თავიანთ ცოდნას და შეძენილ გამოცდილებას საბრძოლო პრაქტიკაში. ისინი შემოქმედებითად ახორციელებდნენ უმაღლესი მთავარსარდლის გენიალურ სტრატეგიულ ნაზრევს და ამით ფასდაუდებელი განძი შეჰქონდათ მტრის განადგურების საქმეში.

ომმა ათობით ურთულესი ამოცანა დაუსახა საბჭოთა სარდლობას და მხედართმთავრებს. ომის მკაცრ განსაცდელში ჩვენი გენერლები დაეუფლნენ თანამედროვე ტიპის ოპერაციების ორგანიზაციისა და ჩატარების რთულ ხელოვნებას, ისწავლეს გადამწყვეტ მიმართულებებზე ძალების ფარულად თავმოყრა, ხანგრძლივი თავდაცვის გარღვევა, გარღვევის წარმატების განვითარება, დარტყმების თანმიმდევრულად და შეუცდენლად გაძლიერება, მოწინააღმდეგის დიდ დაჯგუფებათა გარშემორტყმა და მოსპობა. შემართებული, სწრაფი მანევრი, ტექნიკის მასიური გამოყენება და ჯარების გვარეობათა თანამოქმედება გახდა საფუძველი ოპერაციებისა, რომლებსაც საბჭოთა სარდლობა ახორციელებდა.

წითელი არმია მთელი ომის განმავლობაში ებრძოდა მტრის მთავარ ძალებს. უკანასკნელ დღემდე საბჭოთა ჯარები გერმანელთა უაღრესად გაფთრებულ წინააღმდეგობას ხვდებოდნენ. ჰიტლერელმა გენერლებმა არა ერთხელ სცადეს დაებრუნებინათ ინიციატივა, რომელიც მათ წითელმა არმიამ გამოჰგლიჯა. მაგრამ წითელი არმიის სარდლობა უბედებოდა მტერს მთელ მის ფანდებს, აჭრებოდა მას, შემმუსვრელ, გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდა მტრის ჯარებს.

ჩვენი მარშლები, გენერლები, ადმირალები, ოფიცრები — საბჭოთა, რუსი ხალხის შვილები არიან, მშრომელთა ხორცი ხორცთაგანი, საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, თავიანთ სამშობლოსთან სისხლხორცეულად დაკავშირებულნი. მტრის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებში მათ გამოიჩინეს მაღალი თვისებები ბოლშევიკების პარტიის მიერ აღზრდილი საბჭოთა ადამიანისა: უშიშრობა, უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი და სიძულვილი მტრისადმი, ნიჭიერება და ნათელი გონება. საბჭოთა მეთაურები გარემოსილი არიან მებრძოლთა მხურვალე სიყვარულით, მთელი საბჭოთა ხალხის სიყვარულითა და მადლობით. წითელი არმიის გენერლებისა და ოფიცრების სახით ჩვენი ხალხი ხედავს ლენინურ-სტალინური სკოლის სამხედრო მოღვაწეებს.

მძიმე განსაცდელი გამოიარა გმირმა წითელმა არმიამ. ვერც ერთი წარსული ომი ვერ შეედრება ამ მხრივ დიდ სამამულო ომს. წითელი არმია ომიდან გამოდის დავაჟკაცებული, გამაგრებული, თავისი შესანიშნავი სიმამაცით სახელმოხვეჭილი. მან შეასრულა ისტორიული მოვალეობა სამშობლოსა და კაცობრიობის წინაშე.

„დიდ სამამულო ომში საბჭოთა ჯარების მიერ მოპოვებულმა ბრწყინვალე გამარჯვებებმა ცხადჰყვეს წითელი არმიის დევგმირული ძლიერება და მისი მაღალი მხედრული ოსტატობა. ჩვენმა სამშობლომ ომის მსვლელობაში მიიღო პირველხარისხოვანი კადრის არმია, რომელსაც უნარი შესწევს დაიცვას ჩვენი ხალხის დიადი სოციალისტური მონაპოვარნი და უზრუნველჰყოს საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივი ინტერესები“ (ი. სტალინი).

უდიდესი გულთბილობით, განსაკუთრებული შემოქმედებითი აღფრთოვანებით დღესასწაულობს ჩვენი ქვეყანა დიად გამარჯვებას. ყოველი მხრიდან მადლობითა და სიყვარულით შეჰყურებენ მამაც წითელ არმიას. საბჭოთა ადამიანები მხურვალედ, აღფრთოვანებით უსურვებენ დღეგრძელობას ამხანაგ სტალინს, გამარჯვების შემოქმედს, წითელი არმიის მარშლებს, გენერლებსა და ოფიცრებს.

ლენინისა და სტალინის გენიით შექმნილი, უდიდესი ბრძოლების ქარცეცხლში გამოწრთობილი მძლავრი წითელი არმია დგას სოციალისტური სამშობლოს ინტერესთა სადარაჯოზე. საბჭოთა ხალხი, წითელი არმიისადმი მადლობის გრძნობით, ბოლშევიკური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, ამხანაგ სტალინისადმი სიყვარულისა და ერთგულების გრძნობით გამსჭვალული, პირობას იძლევა არ შეანელოს ღონისძიებანი და გააკეთოს ყველაფერი, რაც კი საჭიროა მძლავრი საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შემდგომი განმტკიცებისათვის.

„პრავდის“ 1 ივნისის მოწინავე

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა სადილი გამართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირად წარმომადგენელ ბ-ნ ჰ. ჰოპკინსის პატივსაცემად

1 ივნისს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა კრემლში სადილი გამართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირად წარმომადგენელ ბ-ნ ჰ. ჰოპკინსის პატივსაცემად.

მიღებას დაესწრნენ ბ-ნი ჰ. ჰოპკინსი მეუღლით, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ვ. ა. ჰარიმანი ქალიშვილით, დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ა. კ. კერი, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მრჩეველი ბ-ნი ჯ. კენანი, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მისიის უფროსი გენერალ-მაიორი ჯ. დინი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ბ-ნი ჩ. ბოლენი, გენერალ-მაიორი ს. სპოლდინგი, ბრიგადის გენერალი ფ. რობერტსი, კონტრ-ადმირალი მაიპლზი.

საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ ვ. მ. მოლოტოვი, ა. ი. მიქოიანი, ლ. პ. ბერია, გ. მ. მალენკოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ნ. მ. შვერნიკი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ნ. კოსიგინი, ფლოტის ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, ვ. ნ. მერკულოვი, მ. მ. ლიტვინოვი, ი. მ. მაისკი მეუღლით, ავიაციის მარშალი ფ. ი. ფალალეევი, ავიაციის მარშალი ფ. ა. ასტახოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, გ. მ. პოპოვი, ვ. ა. სერგეევი, გენერალ-პოლკოვნიკი ფ. ი. გოლიკოვი და სხვები.

სადილმა გულთბილ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა კავშირის გმირის საბჭოთა კავშირის მარშალ გიორგი კონსტანტინეს-ძე ჟუკოვის „ოქროს ვარსკვლავის“ მესამე მედლით დაჯილდოების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე ბერლინის რაიონში ოპერაციების ხელმძღვანელობის დარგში უმაღლესი მთავარსარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამ ოპერაციების შედეგად მიღწეული გადამწყვეტი წარმატებებისათვის საბჭოთა კავშირის გმირი საბჭოთა კავშირის მარშალი გიორგი კონსტანტინეს-ძე **ჟუკოვი** დაჯილდოებულ იქნას **„ოქროს ვარსკვლავის“** მესამე მედლით, აიგოს ბრინჯაოს ბიუსტი დაჯილდოებულის გამოსახულებით და დაიდგას კვარცხლბეკზე ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 1 ივნისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა კავშირის გმირის საბჭოთა კავშირის მარშალ კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე როკოსოვსკის „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედლით დაჯილდოების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე პომერანიისა და მეკლენბურგის რაიონში ოპერაციების ხელმძღვანელობის დარგში უმაღლესი მთავარსარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამ ოპერაციების შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებულ იქნას **„ოქროს ვარსკვლავის“** მეორე მედლით საბჭოთა კავშირის გმირი საბჭოთა კავშირის მარშალი კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე **როკოსოვსკი**, აიგოს ბრინჯაოს ბიუსტი დაჯილდოებულის გამოსახულებით და დაიდგას კვარცხლბეკზე დაჯილდოებულის სამშობლოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 1 ივნისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა კავშირის გმირის საბჭოთა კავშირის მარშალ ივანე სტეფანეს-ძე კონევის „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედლით დაჯილდოების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე პრაღის რაიონში და ბერლინის სამხრეთით ოპერაციების ხელმძღვანელობის დარგში უმაღლესი მთავარსარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამ ოპერაციების შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებულ იქნას **„ოქროს ვარსკვლავის“** მეორე მედლით საბჭოთა კავშირის გმირი საბჭოთა კავშირის მარშალი ივანე სტეფანეს-ძე **კონევი**, აიგოს ბრინჯაოს ბიუსტი დაჯილდოებულის გამოსახულებით და დაიდგას კვარცხლბეკზე დაჯილდოებულის სამშობლოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 1 ივნისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გენერალ-პოლკოვნიკ პ. ს. რიბალკოსათვის ჯავშანსატანკო ჯარების მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

გენერალ-პოლკოვნიკ პავლე სიმონის-ძე **რიბალკოს** მიენიჭოს **ჯავშანსატანკო ჯარების მარშლის** სამხედრო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 1 ივნისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ ს. ი. ბოგდანოვისათვის ჯავშანსატანკო ჯარების მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ სიმონ ილიას-ძე **ბოგდანოვს** მიენიჭოს **ჯავშანსატანკო ჯარების მარშლის** სამხედრო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 1 ივნისი.

გენერალ-ლეიტენანტი პ. გ. ჩანჩიბაძე — საბჭოთა კავშირის გმირი

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით წითელი არმიის გენერლების, ოფიცრების, სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობის ჯგუფს მიენიჭა **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცა **ლენინის** ორდენი და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი“**.

ამ ჯგუფშია გენერალ-ლეიტენანტი პორფილე გიორგის-ძე **ჩანჩიბაძე**.

მოსკოვი, კრემლი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

იმ დღეებში, როდესაც მთელი საბჭოთა ხალხი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების დიდ სიხარულს განიცდის, ყაზახი ხალხი და ყაზახეთის ყველა მშრომელნი ჩვენი საყვარელი საბჭოთა სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად თავიანთი მადლობისა და გულითადი სალმის პირველი სიტყვით მოგმართავენ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ჩვენი სამშობლოს მხსნელო, ჩვენო ბრძენო ბელადო და გენიალურო მთავარსარდალო.

მუშა-მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის მიტინგებსა და კრებებზე, რომლებიც მიეძღვნა დიად გამარჯვებას ფაშისტურ გერმანიაზე და 1945 წლის 9 მაისის თქვენს ისტორიულ მიმართვას ხალხისადმი, ყაზახეთის სს რესპუბლიკის მშრომელებს, თავიანთი სამშობლოსათვის, დიადი საბჭოთა სახელმწიფოსათვის უსაზღვრო სიამაყით გამსჭვალულთ, ყველგან შეეძლოთ ეთქვათ თქვენთვის, მშობლიურო ამხანაგო სტალინ, რომ ფრონტისა და ქვეყნისადმი დასახმარებლად დაუღალავი შრომით მათაც შეიტანეს თავიანთი მცირედი წვლილი მტერზე გამარჯვების საქმეში.

ახლა, როდესაც დადგა მშვიდობიანი განვითარების პერიოდი, ჩვენი შრომის დიადი პროგრამა გახდა თქვენი მგზნებარე სიტყვები, რომლებითაც მიმართეთ ხალხს 1945 წლის 1 მაისის დღეს: „სწრაფად მოუშუშეთ ჩვენს ქვეყანას ომით მიყენებული ჭრილობები, კიდევ უფრო აამაღლეთ ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება!“.

ჩვენ ყველას, მუშებს, კოლმეურნეებს, მოსამსახურეებს და გონებრივი შრომის მუშაკებს, სულით და გულით გვესმის,—იმისათვის, რომ განვამტკიცოთ სამხედრო გამარჯვებანი, მოვიპოვოთ მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობა მთელ მსოფლიოში, საჭიროა კვლავაც განვამტკიცოთ ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, განვამტკიცოთ სოციალისტური ეკონომიკა — ჩვენი ძლიერების საფუძველი როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიან დროს, გავუფრთხილდეთ ძლევამოსილი წითელი არმიისა და წითელი ფლოტის საბრძოლო ძლიერებას და კიდევ უფრო ავამაღლოთ იგი, მტკიცედ და შეუპოვრად ვიმუშაოთ ჩვენი საბჭოთა ხალხის სასახელოდ და საკეთილდღეოდ.

მოგმართავთ რა ამ წერილით, ყაზახეთის მუშათა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის სახელით პირობას გაძლევთ, ამხანაგო სტალინ, კიდევ უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ ჩვენი შრომითი დაძაბვა, ჩვენი საწარმოების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო და ტექნიკური კულტურა, რათა გამარჯვების დროშა, საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების დროშა ზაფხულის ბრწყინვალე მზესავით გვინათებდეს გზას ახალი მიღწევებისაკენ შრომაში, მეცნიერებასა და კულტურაში. ყაზახი ხალხი ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად სახელოვანი ლენინურ-სტალინური პარტიის ხელმძღვანელობით და თქვენი გენიალური ხელმძღვანელობით არაფერს არ დაიშურებს ომით მიყენებული ჭრილობების უსწრაფესად მოშუშებისა და საბჭოთა მიწა-წყალზე გერმანელი ავაზაკების თარეშის შედეგთა ლიკვიდაციის საქმისათვის.

გაუმარჯოს ჩვენს უძლეველ საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ საბჭოთა ხალხს, მის წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს, მრავალ და მრავალ წელს იცოცხლოს მან ჩვენი ქვეყნის ხალხთა საბედნიეროდ!

ყაზახეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. კაზაკპაევი

ყაზახეთის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ნ. უნდასინოვი

ყაზახეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ბორკოვი

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელი არმიის გენერლებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მიღწეული წარმატებებისათვის მიენიჭოთ **საბჭოთა კავშირის გმირის წოდება** და გადაეცეთ **ლენინის ორდენი** და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი“**:

1. არტილერიის გენერალ-ლეიტენანტს ისრაილ სოლომონის-ძე **ბესკინს**
2. საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორს პავლე ვასილის-ძე **შვიდკოის**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 31 მაისი.

სახელმწიფო უშიშროების კომისარ ლ. თ. ცანავას დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საომარი ოპერაციების უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციების შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა **კუტუზოვის** პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა სახელმწიფო უშიშროების კომისარი ლავრენტი თომას-ძე **ცანავა**.

პოლკოვნიკ ნ. ი. კალაძისა და გენერალ-მაიორ ე. ზ. ტატანაშვილის დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა **ლენინის** ორდენით დააჯილდოვა გვარდიის პოლკოვნიკი ნიკოლოზ ივანეს-ძე **კალაძე** და **სუვოროვის** მეორე ხარისხის ორდენით ავიაციის გენერალ-მაიორი ესტატე ზაქარიას-ძე **ტატანაშვილი**.

სირიასა და ლიბანთან საფრანგეთის კონფლიქტის გამო

სირიასა და ლიბანთან საფრანგეთის კონფლიქტთან დაკავშირებით, რამაც შეიარაღებულ შეტაკებათა ხასიათი მიიღო, საბჭოთა მთავრობამ საგანგებო განცხადებით მიმართა საფრანგეთის მთავრობას, აგრეთვე დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის მთავრობებს. ამასთან საბჭოთა მთავრობამ აღნიშნა, რომ, მიღებული ცნობების თანახმად, სირიისა და ლიბანის ტერიტორიაზე სწარმოებს საომარი მოქმედება და რომ იქ მყოფი საფრანგეთის ჯარები შეეტაკნენ სირიელებსა და ლიბანელებს, არტილერიასა და ნაღმსატყორცნებს უშენენ, აგრეთვე თვითმფრინავებიდან უშენენ სირიის დედაქალაქ დამასკოს. შეიარაღებული შეტაკებანი ხდება აგრეთვე სირიისა და ლიბანის ზოგიერთ სხვა ქალაქში. მოკლულთა და დაჭრილთა რაოდენობა დღითი დღე მატულობს. მდგომარეობას ართულებს ის, რომ სამი აღნიშნული სახელმწიფო—საფრანგეთი, სირია და ლიბანი გაერთიანებულ ერთა წევრები არიან და მონაწილეობენ კონფერენციაში, რომელიც სან-ფრანცისკოში მიმდინარეობს.

საბჭოთა მთავრობის განცხადებაში შემდეგ აღნიშნულია, რომ სირიისა და ლიბანის ამბები არ შეესაბამება დუმბარტონ-ოქსში მიღებულ გადაწყვეტილებათა სულისკვეთებას და სან-ფრანცისკოში მიმდინარე გაერთიანებული ერების კონფერენციის მიზნებს მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის ორგანიზაციის შექმნის საქმეში. ამიტომ საბჭოთა მთავრობა სთვლის, რომ მიღებულ უნდა იქნას სასწრაფო ზომები იმისათვის, რათა შესწყდეს საომარი მოქმედება სირიასა და ლიბანში და წარმოშობილი კონფლიქტი მოგვარებულ იქნას მშვიდობიანი წესით.

საბჭოთა მთავრობამ ამ წინადადებით მიმართა საფრანგეთის დროებით მთავრობას, აგრეთვე დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის მთავრობებს, რომლებსაც ეკუთვნით მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ომისშემდგომი ორგანიზაციის შექმნის ინიციატივა.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საინფორმაციო ბიურო

გამოცდილების ტრიბუნა

ჩაის კრეფის ოსტატები

ხაჟერ გორგილაძე

(ბათუმი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან).

[illegible]

თ. თოდრაძე

ნაზია კუჭავა

[illegible]

8 კილოგრამისა, მოკრეფა და სახელმწიფოს ჩააბარა 120 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი, დღიური დავალება 1.000 პროცენტით შეასრულა და 15 შრომადღე გამოიმუშავა. ერთი კვირის განმავლობაში პატრიოტმა კოლმეურნემ მოკრიფა 448 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი და გამოიმუშავა 56 შრომადღე. კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის პირველი რგოლი, რო-

[illegible] სანიმუშო მაგალითებს იძლევიან კომკავშირელები ძაძუ გოგინავა და ძაბული შამათავა.

ოთხზის მედალოსანი, ჩაის კრეფის ოსტატი ნაზია კუჭავა პირობას იძლევა წელს მოკრიფოს 10 ტონა ჩაი, სასახელოდ შეასრულოს ნათელა შარტავასთან შეჯიბრებაში ნაკისრი ვალდებულებანი.

გ. შეროზია

როგორ აღწევს წარმატებებს შ. შოთაძის უბანი

ტყიბული („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). აქ სახელი გაითქვა სტალინის სახელობის შახტის პირველი საექსპლოატაციო უბნის კოლექტივმა, რომელსაც ამხ. შ. შოთაძე ხელმძღვანელობს. უბანმა გასულ წელს 4.437 ტონა, ხოლო მიმდინარე წლის ოთხ თვეში 2 ათასამდე ტონა ქვანახშირი მისცა სამშობლოს გეგმის გადამეტებით. მაისის დავალება უბანმა 22 დღეში შეასრულა. მეშახტეები ახლა სტახანოვური ტემპებით ამზადებენ ახალ მძლავრ ლავს, რომლის ექსპლოატაცია ივნისის შუა რიცხვებში დაიწყება და 200 ტონამდე ქვანახშირს მოგვცემს ყოველდღიურად.

ამხ. შ. შოთაძე 5 წელზე მეტია უბნის უფროსად მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში მან, ძვირფასი საწარმოო გამოცდილება შეიძინა. იგი სწორად ანაწილებს ძალებს, მთავარ ყურადღებას აქცევს სამუშაო ფრონტის მომზადებას, მექანიზმების მოვლას, სტახანოვური მეთოდების დანერგვას, ახალი კადრების აღზრდას. უბნის უფროსი და მისი მოადგილე ინჟინერი მ. ვერულაშვილი ახალი განრიგის მიცემამდე ყოველთვის ამოწმებენ წინა ცვლის მუშაობას და ზუსტ დავალებას აძლევენ შახტში მიმავალ ცვლას. შემდეგ შახტში შედიან და ადგილზევე დახმარებას უწევენ ცვლის მუშაობას.

უბანში მტკიცეა შრომის დისციპლინა. ყველა მეშახტე 15-20 წუთით ადრე შედის შახტში. ცვლების გადაბარება სანგრევში ხდება. ეს გარემოება დიდად უწყობს ხელს ლავის ნორმალურ ექსპლოატაციას, ტექნიკური უშიშროების წესების დაცვას და ქვანახშირის მოპოვების ზრდას. უბანში შრომა ისეა განაწილებული, რომ ყველა მუშა მთელი 8 საათის განმავლობაში სრული დატვირთვით მუშაობს. მასალის, მზიდველობისა და გამყორებლების სამუშაოზე წაუყვანთანავე მიაქვთ ბიგები და ვაგონები. ლავი კოდთან მოწყობილია ვაგონების ჩასაყენებელი ჩიხი, სადაც 5-6 ვაგონი ეტევა, როცა ქვანახშირის ტვირთვა დაიწყება, ერთი მტვირთავი კოდიდან ვაგონში ჰყრის ქვანახშირს, მეორე ქვანახშირით დატვირთულ ვაგონს აგორებს საილმავალო გზამდე, კოდთან ლანდავი მუდამ წესიერ მდგომარეობაშია, ეს აადვილებს ვაგონების მიმოქცევას. ზოგჯერ სამუშაოზე ახლად მისულ ცვლას კოდი ცარიელი ხვდება. მნგრეველს კი რამდენიმე საათი სჭირდება სანგრევის აფეთქებისათვის, რათა კოდი ხელახლა აავსონ ქვანახშირით. ამ ხნის განმავლობაში მტვირთავები იმარაგებენ ვაგონებს, ეხმარებიან მებიგეებს ლავში ბიგების აზიდვაზე.

აი, ქვანახშირის სანგრევი ლავი: მნგრეველი მუშაობის დაწყებისთანავე ბურღავს სანგრევს. იქ, სადაც რბილი და დაბალია ფენა, უფრო ნაკლებ შპურს დაბურღავენ და პირიქით. ეს იწვევს დროის მაქსიმალურად შემცირებას და ფეთქებადი მასალის ეკონომიას. ქვანახშირის ნგრევის დროს სანგრევის გამაგრებაზე მუშაობა შეუძლებელია. ამ დროს მებიგეები ბიგებს ამზადებენ.

სანგრევი აფეთქდა. ხრიალით ეშვება გიშერივით მოლაპლაპე ქვანახშირი. ამ წუთსვე მებიგეები იწყებენ წინასწარ გამზადებული ბიგების ჩადგმას, მტვირთავები სწრაფად ტვირთავენ ვაგონებს. ერთი აფეთქებით ლავში ზოგჯერ იმდენი ქვანახშირი მოინგრევა, რომ ხშირად მისი გამოზიდვა მთელ ცვლაშიც შეუძლებელია. ამ შემთხვევაში მნგრეველი იქვე, ლავის ახლოს სათადარიგო „სბოიკებისა" და ახალი კვერშლაგების გაჭრას იწყებს. ასე შეუფერხებლად სწარმოებს ყველა ცვლის მუშაობა ამხ. შ. შოთაძის უბანში, ამიტომ აღწევს იგი წარმატებებს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მექანიზმების მოვლას, ახალი კადრების აღზრდას.

უბანში 75 კაცი მუშაობს, ყველა ისინი დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ნორმებს. განსაკუთრებით გამოირჩევიან მნგრეველები შ. ფურცხვანიძე, დ. სუქნიძე, პ. შენგელია, ა. ცხომელიძე, დ. კირკიტაძე, მებიგეები ა. ყიფშიძე, ალ. ბრეგაძე, ა. ობოლაძე, გ. გიორგაძე.

ომის დღეებში შ. შოთაძის უბანში ბევრმა ახალმა მუშამ შეისწავლა ქვანახშირის ნგრევა, ბიგების ჩადგმა და ტვირთვა. მაგალითად, ა. ლეჟავა, ა. ყიფშიძე, უ. ცხომელიძე, დ. ნემსაძე, რომლებიც ომის დღეებში მოვიდნენ შახტში სამუშაოდ, საფუძვლიანად დაეუფლნენ ქვანახშირის ნგრევისა და ბიგების ჩადგმის ტექნიკას.

ასე შრომობს მეტი ქვანახშირის მოპოვებისათვის შ. შოთაძის უბნის კოლექტივი.

დ. ქათამაძე

საერთაშორისო მიმოხილვა

ამ დღეებში რუმინეთში დამთავრდა ომის 38 დამნაშავის გასამართლება. ეროვნული ინტერესების მოღალატენი, ბავშვთა მკვლელები, მძარცველები და მაროდერები შესაფერისად დაისაჯნენ: 29 ბრალდებულს გამოუტანეს სიკვდილით დასჯის განაჩენი, სხვებს კი — პატიმრობა სხვადასხვა ვადით. ბულგარეთში ომის დამნაშავენი შეიპყრეს და სასტიკ პასუხისგებაში მისცეს უფრო ადრე. ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებანი ომის დამნაშავეთა დასჯის შესახებ ხორციელდება წითელი არმიის მიერ განთავისუფლებულ სხვა ქვეყნებშიც. ყირიმის კონფერენციის დეკლარაციაში, როგორც ცნობილია, ნათქვამი იყო, რომ „წესრიგის დამყარება ევროპაში და ნაციონალურ-ეკონომიური ცხოვრების გარდაქმნა მიღწეულ უნდა იქნას ისეთი გზით, რომელიც საშუალებას მისცემს განთავისუფლებულ ხალხებს აღმოფხვრან ნაციზმისა და ფაშიზმის უკანასკნელი კვალი და შექმნან დემოკრატიული დაწესებულებანი მათი საკუთარი არჩევით". ამჟამად განთავისუფლებული ხალხები იწმინდებიან ფაშიზმის ნაშთებისაგან, კვისლინგებისა და სხვა გამცემლებისაგან და ნიადაგს უმზადებენ დემოკრატიას. სამხედრო დამნაშავეთათვის რუმინეთსა და ბულგარეთში გამოტანილი განაჩენი მხურვალედ მოიწონეს ამ ქვეყნების ხალხებმა.

მაგრამ საქმე ასე როდია ყველა განთავისუფლებულ ქვეყანაში. ბევრი ომის დამნაშავე კვლავ თავისუფალია, სხვები, თუმცა დაპატიმრებული არიან, მაგრამ დღემდე შეღავათიანად გრძნობენ თავს. მსოფლიოს საზოგადოებრიობა მოითხოვს მათ მალე და მკაცრად გასამართლებას. პრესა აკრიტიკებს ამ დამნაშავეთადმი ზედმეტ თავაზიან მოპყრობას. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" აცხადებს „მეტად საჭიროა, რომ ომის გამჩაღებელთა პროცესები მოეწყოს ერთობლივად და ჩატარდეს მალე, ღირსებით, მკაცრი სამართლიანობითა და ბე„ითობით".

* * *

გაერთიანებულ ერთა კონფერენცია სან-ფრანცისკოში უკვე მეხუთე კვირაა მუშაობს. როგორც ცნობილია, მშვიდობიანობისა და უშიშროების უზრუნველყოფის მომავალი საერთაშორისო ორგანიზაციის წესდებას საფუძვლად დაედო დუმბარტონ-ოქსში შემუშავებული პროექტი. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ სან-ფრანცისკოში შეკრებილი დელეგატები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ეს პროექტი მოითხოვს დაზუსტებას, დამატებით დამუშავებასა და ზოგიერთი ცვლილების შეტანას. ამას აკეთებენ ამჟამად კონფერენციაზე შექმნილი კომისიები და კომიტეტები. წარმოდგენილია საკმაოდ ბევრი შესწორება, რომლებიც განმარტავენ და აზუსტებენ წესდების ცალკე დებულებებს. მაგრამ საჭირო და სასარგებლო წინადადებებთან ერთად შეტანილია ბევრი წინადადება, რომლებიც მიზნად ისახავენ თავს მოახვიონ ახალ ორგანიზაციას ძველი ერთა ლიგის წესდებიდან ნასესხები ზოგი რამ. კერძოდ, წამოყენებულია შესწორებანი უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრების რაოდენობის გადიდების შესახებ; უშიშროების საბჭოს პროექტი, რომელიც შემუშავებულია დუმბარტონ-ოქსში, უნდა შესდგებოდეს ხუთი დიდი სახელმწიფოს — მუდმივი წევრების წარმომადგენლებისა და ექვსი არამუდმივი წევრისაგან, რომლებიც არჩეულ იქნებიან ასამბლეის მიერ განსაზღვრული ვადით. შეტანილია ბევრი წინადადება საბჭოში ხმის მიცემის პროცედურის საკითხზე და შესწორებანი, რომლებიც მოითხოვენ ასამბლეისათვის უფრო ფართო რწმუნებათა მინიჭებას, საერთაშორისო კავშირების განხილვისას. ამ შესწორებათა აზრი ის არის, რომ გაფართოვდეს ასამბლეის „ფუნქციები" უშიშროების საბჭოს უფლებათა ხარჯზე. ამ შესწორებათა და დებულებათა მიღება მნიშვნელოვნად შეასუსტებს იმ ღონისძიებათა სიხქარესა და ქმედითობას, რომლებიც მიმართული არიან აგრესიის აღკვეთისაკენ. ამიტომ ბევრი მათგანი მიუღებელი აღმოჩნდა, განსაკუთრებით იმ ქვეყნებისათვის, რომლებმაც ეს ომი გადაიტანეს და გულწრფელად ისწრაფვიან უშიშროების ქმედითი სისტემის შექმნისაკენ.

მიუხედავად ზოგიერთი დელეგაციის ცდებისა ზედმეტი დისკუსიებით გააჭიანურონ კონფერენცია, ამჟამად მისი მუშაობა საერთოდ წარმატებით მიმდინარეობს. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის სტეტინიუსის განცხადებით კონფერენცია ივლისის დამდეგს დამთავრდება.

* * *

ომი წყნარ ოკეანეში ზრდადი ძლიერებით გრძელდება. მოკავშირეებს ამ ფრონტზე გადაჰყავთ ნაწილი თავიანთი ჯარებისა, რომლებიც ევროპაში იბრძოდნენ. ამ დღეებში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრის მოადგილემ პატერსონმა განაცხადა, რომ მიღებულია ღონისძიებანი, რათა იაპონიას თავს დაატყდეს ამერიკის შეიარაღებულ ძალთა, მთელი ძლიერება. უკანასკნელ დღეებში ამერიკის ავიაციამ მნიშვნელოვნად გააძლიერა თავისი აქტივობა. 24 მაისს დილით ამერიკის 550 ზემძლავრი ბომბდამშენი თავს დაესხა ტოკიოს და 4.500 ტონა ბომბი დაყარა. ეს იყო იაპონიის დედაქალაქზე ყველაზე უფრო დიდი თავდასხმა ომის დაწყებიდან. არანაკლებ მასობრივი თავდასხმა მოახდინეს ამერიკის თვითმფრინავებმა 29 მაისს იაპონიის დიდ სანავსადგურო ქალაქ იოკოჰამაზე. ამ თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა ამერიკის „მფრინავი ციხის" მარკის 500 ბომბდამშენი, რომლებმაც 3.200 ტონა ცეცხლგამჩენი ბომბი ჩამოყარეს.

სახმელეთო არმიების ყველაზე უფრო აქტიური ბრძოლები სწარმოებს ამჟამად ფილიპინის კუნძულებზე, განსაკუთრებით კუნძულ ლუსონზე, აგრეთვე კუნძულ ოკინავაზე, რომელიც, დაახლოებით, 500 კილომეტრზე მდებარეობს იაპონიიდან.

24 მაისს, ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილები შევიდნენ კუნძულ ოკინავას მთავარ ქალაქ ნახაში.

მ. ლიპკინი

სირიისა და ლიბანის ამბების გამო

ნიუ-იორკი, 31 მაისი. (სატასი). იუნაიტედ პრესის სააგენტო ბეირუთიდან გადმოგვცემს, რომ საფრანგეთის ჯარების სარდალმა სირიასა და ლიბანში ჯარებს უბრძანა შესწყვიტონ ცეცხლი.

ცვლილებანი საფრანგეთის მთავრობის შემადგენლობაში

პარიზი, 31 მაისი. (სატასი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, დღეს მინისტრთა საბჭოს სხდომის შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა ოფიციალური კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ კრისტიან პინო დანიშნულია მომარაგების მინისტრად ნაცვლად გადამდგარი რამადიესი, ინფორმაციის მინისტრი ტეჭენი დანიშნულია იუსტიციის მინისტრად ნაცვლად დე მენტონისა. ინფორმაციის მინისტრად დანიშნულია სუსტელი. იუსტიციის ყოფილი მინისტრი დე მენტონი დანიშნულია საფრანგეთის დელეგაციის ხელმძღვანელად ომის დამნაშავეთა დასჯის საერთაშორისო კომისიაში.

როგორც აღნიშნულია კომუნიკეში, დე გოლმა მთავრობას აცნობა, რომ, რამდენადაც ომი ევროპაში დამთავრდა და დასასრულს უახლოვდება მუშაობა სამხედრო ტყვეთა და გასახლებულთა რეპატრიაციის დარგში, მას საჭიროდ მიაჩნია ჩატარებულ იქნას საფრანგეთში საყოველთაო არჩევნები მიმდინარე წლის დასასრულამდე. მინისტრთა საბჭომ ერთსულოვნად გაიზიარა მთავრობის მეთაურის აზრი.

პრესის შეკითხვა თემთა პალატაში

ლონდონი, 1 ივნისი. (სატასი). თემთა პალატის წევრი პრიტი პალატის სხდომაზე სამხედრო მინისტრს შეეკითხა, იცის თუ არა მან, რომ პოლონელი ოფიცრები იტალიაში ინგლისის ჯარების ოფიცრებისა და ჯარისკაცებისათვის მოწყობილ რადიოგადაცემებში ეწევიან ანტისაბჭოთა და ერთგვარად ინგლისის საწინააღმდეგო პროპაგანდას ინგლისურ ენაზე. ეს მასალები, სთქვა პრიტმა, ინგლისში, იტალიასა და პალესტინაში იბეჭდება. პრიტი აგრეთვე შეეკითხა სამხედრო მინისტრს, აპირებს თუ არა იგი მიიღოს ზომები, რომ ბოლო მოუღოს ამ საქმიანობას და შექმნას პირობები სწორი ინფორმაციის გასავრცელებლად გაერთიანებულ ერებს შორის მეგობრობის შენარჩუნების იმ პოლიტიკის შესახებ, რომელსაც ინგლისი ატარებს.

გრიგმა უპასუხა: „მე ვარკვევ ფაქტებს, რომლებიც ამ საკითხს შეეხება. შემდეგ მოვიფიქრებ, საჭიროა თუ არა რაიმე ზომების მიღება".

„ტაიმსი" ეს-ელ გენერალ ლინდემანის შტაბის საქმიანობის შესახებ

ლონდონი, 1 ივნისი. (სატასი). „ტაიმსის" დანიელმოვრელი კორესპონდენტი იუწყება, რომ დანიაში გერმანიის ჯარების ყოფილი მთავარსარდლის სს-ელ გენერალ ლინდემანის შტაბი კვლავ მოქმედებს სილკებორგში როგორც შუამავალი, რომლის მეშვეობითაც სტულდება მონტგომერის ბრძანებები გერმანიის ჯარების გამოყვანის შესახებ. „ტაიმსის" კორესპონდენტი მოგვითხრობს, რომ სწორედ ლინდემანი სარდლობდა გერმანიის ჯარებს ლინდენბორგთან. იგი და მისი თანამშრომლები იმყოფებიან ტყეში მოწყობილ მიწისქვეშა ბლინდაჟში მოთავსებულ შტაბში, რომელთანაც დაყენებულია გერმანელთა ძლიერი შეიარაღებული მცველი რაზმი. ერთმა ფლენსბურგელმა ოფიცერმა ამას წინათ ინახულა ეს ბლინდაჟი, რათა შეემოწმებინა ცნობები, რომელთა თანახმადაც ნაცისტური პროპაგანდა კვლავ ვრცელდება, ლინდემანის რადიოგადაცემის საშუალებით.

გრიუს განცხადება ლავალის შესახებ

ვაშინგტონი, 31 მაისი. (სატასი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გრიუმ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ლავალი პატიმრობაში რჩება ესპანეთში და რომ შეერთებული შტატების მთავრობა კვლავ მოითხოვს, რათა ესპანეთმა ლავალი საფრანგეთის დროებითი მთავრობას გადასცეს. გრიუმ არ განაცხადა უპასუხა შეკითხვაზე — მიღებულია თუ არა რაიმე პასუხი ესპანეთის მთავრობისაგან.

ნორვეგიის მთავრობა ოსლოს დაბრუნდა

ლონდონი, 31 მაისი. (სატასი). რეიტერის სააგენტო ოსლოდან გადმოგვცემს, რომ ლონდონიდან იქ ჩავიდა ნორვეგიის მთავრობა.

ომი წყნარ ოკეანეში

ლონდონი, 1 ივნისი. (სატასი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის შტაბი იუწყება, რომ იაპონიის ჯარებმა სცადეს დიდი კონტრიერიშები მიეტანათ ამერიკელთა ჯარების წინააღმდეგ ლუსონისა და მინდანაოს კუნძულებზე (ფილიპინები), აგრეთვე ავსტრალიის ჯარების წინააღმდეგ ახალ გვინეაზე. ეს იერიშები იშვიათად დამთავრდა.

ვაშინგტონი, 1 ივნისი. (სატასი). ამერიკის შეერთებული შტატების, წყნარი ოკეანის ფლოტის სარდლობის შტაბი იუწყება, რომ კუნძულ ოკინავაზე ამერიკის ჯარებმა ორმაგ შეტევის იაპონელთა თავდაცვის ხაზში, ამჟამად ამერიკის ჯარები ფლანგებიდან უვლიან იაპონელთა პოზიციებს. საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილები მიიწევენ ნახადან ზღვის მიმართულებით.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ იაპონელთა ჯარების ზარალი (ცოცხალი ძალის მხრივ კუნძულ ოკინავაზე 30 მაისისათვის შეადგენს 61.519 კაცს მოკლულთა და 1.353 კაცს ტყვეთა სახით.

ვაშინგტონი, 1 ივნისი. (სატასი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრო იუწყება, რომ 1 ივნისს დილით მეტად დიდი შენაერთები „მფრინავი ციხის" მარკის ზემძლავრი ბომბდამშენებისა, რომლებსაც ბაზები მარიანის კუნძულებზე აქვთ, თავს დაესხნენ ოსაკის სამრეწველო რაიონებს.

ტოკიო, 1 ივნისი. (სატასი) დომეი ცუსინის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 1 ივნისს დილით ამერიკის „მფრინავი ციხის" მარკის 400-მდე ზემძლავრი ბომბდამშენი თავს დაესხა ოსაკას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა. სურათზე: სახარატო საამქროს სტახანოველი ხარატი ი. გოგიძე (მარცხნივ); ინჟინერ-ტექნოლოგი ც. გალდავა ამოწმებს შაბიამნის ხარისხს.
ფოტო რ. აკოფოვისა.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი დიდ მუშაობას ეწევა ძველი ქართული კულტურის ძეგლების—ძველი ხელნაწერი წიგნების, საბუთების და სხვ. გამოსაქვეყნებლად. მუზეუმის გამოცემათა ამ სერიის მთავარი რედაქტორია აკადემიკოსი ს. ჯანაშია.

ამჟამად მუზეუმის მეცნიერი მუშაკები ეწევიან ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდების აღწერილობას. ამ აღწერილობის I ტომი, რომელიც 25-მდე ნაბეჭდ თაბახს შეიცავს, გადაცემული აქვს წარმოებას და ახლა ბეჭდვის პროცესშია. ამ ტომის რედაქტორია დოც. ი. აბულაძე.

* * *

გათხრების დროს, რასაც მუზეუმის ექსპედიცია 1929 წელს უდაბნოში (საგარეჯოს რაიონი) ატარებდა, ნაპოვნი იქნა ნამარხი — ხერხემლიანი ცხოველის კბილები და ყბის ფრაგმენტები. მეცნიერმა მუშაკებმა ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩმა და ე. გაბაშვილმა გულდასმით შესწავლის შემდეგ დაადგინეს, რომ ნაპოვნი კბილები ეკუთვნის ადამიანისმაგვარ მაიმუნთა ახალ გვარს, რომელსაც პოვნის ადგილის მიხედვით დაერქვა „უდაბნოპითეკუს გარეჯიზის". ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩისა და ე. გაბაშვილის შრომას მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა კავშირის მთელმა რიგმა გამოჩენილმა სპეციალისტებმა.

მონაპოვრის აღწერილობა გამოქვეყნდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის" უახლოეს ტომში, ხოლო უფრო ვრცელი აღწერილობა — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბის" მორიგ ტომში. (სა-ქინფორმი).

სევერიან ისიანის „ლექსები"

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა" დაბეჭდა სამამულო ომში დაღუპული ახალგაზრდა პოეტის სევერიან ისიანის ლექსთა კრებული.

წიგნში მოთავსებულია 44 ლექსი, მათ შორის ლექსები დიდ ბელადზე, სამშობლოს სიყვარულზე, სამამულო ომზე, აგრეთვე რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას შესახებ.

კრებულს დართული აქვს რედაქტორის გ. ჯიბლაძის წერილი — „სევერიან ისიანი". წიგნი შეიცავს 64 გვერდს და ღირს 15 მანეთი.

ახალი წიგნები

საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ დაბეჭდა რუსული ხალხური ზღაპრების სერია ქართულ ენაზე: „კაჭკაჭი", „კატუნია ფისოსძე", „თალგამი", „მელია და წერო", „ქრომა დედალი", „ცხოველები ტყეში", „ცხოველების საზამთრო ბინა" და „კოშკი".

გამოცემათა რედაქტორია კ. ჭანტურიშვილი. ზღაპრები დასურათებულია მხატვრების— ა. უშაკოვას, ი. რაისკაიას, ი. ზუბელსკაიას და ე. ხოძის მიერ.

* * *

„ზარია ვოსტოკას" გამომცემლობამ რუსულ ენაზე დაბეჭდა ბელეტრისტი ქალის ნინო დოლიძის მოთხრობათა წიგნი. მასში მოთავსებულია 6 მოთხრობა, რომლებიც რუსულად თარგმნილია თვით ნ. დოლიძის მიერ.

წიგნის რედაქტორია ბ. ჟღენტი.

ამავე გამომცემლობამ ზ. კორნეევის რედაქტორობითა და შესავალი სტატიით დაბეჭდა პოეტ ვასილ კამენსკის ლექსებისა და პოემების წიგნი, რომელიც შესდგება სამი განყოფილებისაგან: 1. ორმოცდაოთხი წლის გაზაფხული, 2. ვადიდებ ჩემს სამშობლოს და 3. ისტორიული პოემებიდან.

კრებული—„ანდრია რაზმაძე"

საქართველოს სახელგამმა გამოსცა გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-მათემატიკოსის პროფესორ ანდრია რაზმაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული.

კრებულში მოთავსებულია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილება გამოჩენილი მეცნიერ-მათემატიკოსის პროფესორ ა. მ. რაზმაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტისათვის ა. მ. რაზმაძის სახელის მინიჭების შესახებ, ა. მ. რაზმაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საჯარო სხდომაზე ვ. კუპრაძის მიერ წარმოთქმული შესავალი სიტყვა, შ. ნუცუბიძის მოხსენება ა. რაზმაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ლ. გოკიელის მოხსენება ა. რაზმაძის მეცნიერული შემოქმედებისა და პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ.

კრებულის რედაქტორია ამხ. ვ. კუპრაძე.

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა — 2/VI — „ბატაკახი", 3/VI — დღისით — „ტრავიატა", საღამოს — „ფაუსტი". **რუსთაველის სახელობის** — 2/VI — „ერთი ღამის კომედია", 3/VI — დღისით და საღამოს — „ერთი ღამის კომედია". **მარჯანიშვილის სახელობის**—2/VI — „ქამთაბერის ასული", 3/VI — დღისით — „ქამთაბერის ასული", საღამოს—„უმზითო".

კინოებში

2 ივნისს: რუსთაველის სახელობის და ოქტომბერი — „კაცი № 217". **დამკვრელი** — (საზაფხულო და ზამთრის) — „ედისონი". **კომკავშირელი** — (საზაფხულო და ზამთრის) —„სიმღერა სიყვარულზე". **სპარტაკი** — „ვოლგიდან ოდერამდე". **ლუქსემბურგის სახელობის** — „სიმღერა რუსეთზე". **26 კომისრის სახელობის** — „სალტან მეფის ზღაპარი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

მოქალაქე **ალექსი სტეფანეს-ძე ბურენკოვმა**, მცხოვრებმა მახაბელის ქ. № 9, აღძრა საქმე შავი ზღვის ქ. № 2 მცხოვრებ მოქალაქე **ნადეჟდა ანდრიას-ასულ ევდუშენკოსთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოში.

ელენე, მარიამ, თინა, ნიკო, ივანე ჯაფარიძეები ოჯახებით იუწყებიან ძმის **ალექსანდრე რომანის-ძე ჯაფარიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2/VI, 7 ს. გამოსვენება 3/VI, 2 ს. დავითაშვილის, 30.

საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის დირექცია და პარტბიურო იუწყებიან მე-2 კურსის სტუდენტ **ვალიკო მიხეილის-ძე ფარცვანიას** გარდაცვალებას.

კოლია და ანიკო ლეჟავები შვილებით იუწყებიან სიძის **ივანე გერასიმეს-ძე ავალიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3/VI.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროპედევტიკული თერაპიული კლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ასისტენტ ნიკოლოზ მეგრელიშვილის დედის **მართა მეგრელიშვილის** გარდაცვალებას.

მშობლები კოსტა და მარგო ბორისენკოები იუწყებიან, რომ 3/VI, 3 ს. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დანიშნულია **ლილი ბორისენკოს** პანაშვიდი.

ზუგდიდის ექიმთა საზოგადოება იუწყება ექიმ ანდრო პეტრეს-ძე პატარაიას მეუღლის **მარიამ პეტრეს-ასულ პატარაიას** გარდაცვალებას.

მეუღლე თამარ შვილებით, დედა ირინე, ძმა ბესარიონ, დები კატო, ვისილა ოჯახებით იუწყებიან **ესე მიხეილის-ძე კანდელაკის** გარდაცვალებას.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან **ეკატერინე ზურაბის-ასულ ცაგურიას** გარდაცვალებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომი და რაიაღმასკომი იუწყებიან ვ. მამალაძის მეუღლის **თინა მამალაძის** გარდაცვალებას.

ჩინჩალაძე, ლურსმანაშვილი, ბოჭორიშვილი, ხუნდაძე, კალანდაძე, ფაჩულია, ალანია, ურუშაძე, გვაზავა, ადამია, გორგაძე, მაცაბერიძე, მუჯირი, ჭკადუა, ლაპარტყავა, ავალიანი, ესანჯიანი იუწყებიან ვასო მამალაძის მეუღლის **თინას** გარდაცვალებას.

ამხანაგები ა. ლომაძე, ქ. მანწკავა, ვ. მეგიაძე, ქ. ანთიძე იუწყებიან ვასო მამალაძის მეუღლის **თინა თომას-ასულ გოგიშვილი-მამალაძის** გარდაცვალებას.

ე. ვასაძე და ღ. ფაღავა ოჯახებით იუწყებიან ვასო მამალაძის მეუღლის **თინას** გარდაცვალებას.

ამხანაგები ი. დოლიძე, რ. შანიძე, ი. ნატროშვილი, დ. კალანდაძე, ვ. გრძელიძე იუწყებიან ვასო მამალაძის მეუღლის **თინას** გარდაცვალებას.

მეუღლე მარიამ, შვილები ანა, **სონია**, სოძეები, ქ. აბრამიძე, ვ. ჟღენტი იუწყებიან **ზაქარია ივანეს-ძე პაპაშვილის** გარდაცვალებას, გამოსვენება 3/VI, 2 ს. საავადმყოფოდან, პლეხანოვის, 60.

ვლადიმერ და ქეთო ჟღენტები შვილებით, თეო ჯაველიძე, ლიდა ჟღენტი შვილებით და შვილიშვილებით იუწყებიან დედის ანა **შავარდენის-ასულ ჟღენტის** გარდაცვალებას.

მშობლები ანა, შაქრო გოგიაშვილები, მეუღლე თამარ შვილებით, დები ელენე, ვერა, სიძეები იოსებ, ალექსი, ვლადიმერ შვილებით იუწყებიან, რომ 3/VI კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ნიკოლოზ მილაძის** პანაშვიდი.

მშობლები ნინო, ეგნატე ბერაძეები იუწყებიან, რომ 3/VI, 2 ს. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დანიშნულია **თენგიზ ეგნატეს-ძე ბერაძის** პანაშვიდი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3 06 88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის—3-81-84, კომკავშირული ცხოვრებისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3 80-83 სამხედრო, ლიტერატურისა—3-80-84, მორიგ. და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტირაჟი 91,800 უე 06673